იყო ერთი კაცი, რომელიც ცხოვრობდა მეჩეთიდან ყველაზე შორეულ ადგილას, რაც კი მე ვიცოდი, მაგრამ არასოდეს აკლდებოდა ლოცვას მეჩეთში

გადმოცემულია უბაი იბნ ქა'აბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): «იყო ერთი კაცი, რომელიც ცხოვრობდა მეჩეთიდან ყველაზე შორეულ ადგილას, რაც კი მე ვიცოდი, მაგრამ არასოდეს აკლდებოდა ლოცვას მეჩეთში, ერთ დღეს ვიღაცამ უთხრა მას ან მე თვითონ ვუთხრი მას: "რატომ არ იყიდი ვირს, რომ მასზე ამხედრებული იარო, განსაკუთრებით სიბნელესა და ძლიერ სიცხეში?" მან უპასუხა: "არ მსურს, რომ ჩემი სახლი მეჩეთის გვერდით იყოს, მე მინდა, რომ ალლაჰმა ჩაწეროს ჩემთვის ყოველ ნაბიჯზე, რასაც მეჩეთისკენ და უკან ჩემი ოჯახისკენ გადავდგამ", შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ალლაჰმა ეს ყველაფერი შენთვის შეკრიბა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

უბაი იბნ ქა’ბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გვიამბო, რომ ანსარებიდან ერთი კაცი იყო მეჩეთიდან ყველაზე შორეული სახლის მქონე ადამიანებს შორის, მაგრამ არ აცდენდა ლოცვას; არამედ, ყოველ ლოცვაზე ესწრებოდა ალლაჰის შუამავლთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად, მას უთხრეს: რატომ არ ყიდულობ ვირს, რომ მასზე ამხედრებული იარო ღამის სიბნელეში და დღის სიცხეში? მან უპასუხა: არ მსურს, რომ ჩემი სახლი მეჩეთის გვერდით იყოს. მე მინდა, ალლაჰმა ჩამიწეროს ჩემი ნაბიჯები მეჩეთში ლოცვისკენ სიარულისას და უკან დაბრუნებისას, როცა ოჯახთან ვბრუნდები, როცა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ეს გაიგონა თქვა: «ალლაჰმა ეს ყველაფერი შენთვის შეკრიბა».

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3561